


საქართველო

6 მარტი
1987



გვ. 2. პატენტის



- პატენტებულო, ჩემი წიგნი წაიკითხეთ?
- მასწავლ, შე კასო, ჯარ უხანი წაგაკითხე!

საბჭოთა გარდაქმნა



იუმორისა



უსიტყვოდ

— ახლოვდება კვარტალის ბოლო, ფაბრიკა კი მაინც ჩამორჩება! უნდა გარდავიქმნათ, ფეხი ავუწყოთ ცხოვრებას, კოლექტივში სიხალისე შევიტანოთ და გეგმას ეშველება! — უთხრა დირექტორმა ადგილკომის თავმჯდომარეს.

— ევრიკა! მოდი, სიცილის ერთთვიური მოვაწყოთ! — გაამხნევა დირექტორი ადგილკომის თავმჯდომარემ.

— ერთი თვე სიცილი? — გაიკვირვა დირექტორმა, — ღმერთმა დაგვიფაროს! ჩემი აზრით, უფრო ორიგინალური იქნება, თუ სიცილის დეკადას მოვაწყობთ! ოღონდ ათი დღის მანძილზე მთელ ფაბრიკას ერთნაირად ვერ ვასარხარებ! აბა, წარმოიდგინე, ყველამ რომ ერთად დაჩქარებული ტემპით გაიცინოს, რას დაემგვანება ეს?! საჭიროა სიცილის მცოცავი გრაფიკი დავაწესოთ! ზოგი ადრე გაიცინებს, ზოგიც — გვიან, და ამით ადამიანი გადახალისდება, ენერჯიას მოიკრებს!

— სიცილი თვის პირველ დეკადაში აჯობებს! ამ დროს ნედლეულის უქონლობის გამო რიტმულობა ირღვევა, გეგმას ვერ ვასრულებთ და აქცენტს სიცილზე გადავიტანთ! სიცილის თემა კი გამოინახება!

— ყოჩაღ! მუშაობს თავი!.. — გაიხარა დირექტორმა.

თვის დასაწყისში ფაბრიკა ნედლეულით მოუმარაგებლობის გამო თითქმის გაჩერებული იყო. მუშებს დაღვრემილობა ეტყობოდათ, დირექტორი საამქროებში დადიოდა და სწყინდა:

— რატომ არ იცინით, ამხანაგებო? ხომ იცით რომ სიცილის დეკადა მიმდინარეობს? ეს საერთო საფაბრიკო ღონისძიებაა და ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა!

— ჩემი სიცილი გრაფიკით მეორე ცვლაშია დაგეგმილი! — თქვა ერთმა.

— მე კი გუშინ გავიციენე, როცა ხელფასი მივიღე! — დაუმატა მეორემ.

დირექტორს არ ესიამოვნა და საწარმოო თათბირის მოწვევა გადაწყვიტა.

— ვისაც დღეს არ გაუცინია, დირექტორთან, თათბირ-

ზე! — რეკავდა პირადი მდივანი საამქროებში.

პირველად თათბირზე მომარაგების განყოფილების უფროსი გამოვიდა:

— დირექტორი მართალია, რაც უნდა ცუდი მდგომარეობა გვექონდეს, როცა გვავალებენ, უნდა გავიცინოთ, რათა შემდეგ კურსი ავიღოთ წინსვლისაკენ! რა ხანია, ნართი არ მიგვიღია, საქსოვი საამქრო გაჩერებულია, გარდაქმნა არ იგრძნობა, მაგრამ... — და ისტერიული სიცილი აუტყდა.

— ჩვენი ფაბრიკის ნაწარმზე ყველა იცინის და ჩვენ რატომ არ უნდა გავიცინოთ?! — დაიწყო ტექნიკური განყოფილების უფროსმა, თან ღიღინით დააყოლა: „მაგრამ მაინც სულ ვიციანი, არ ვტირი!..“

— ტექნიკა მოძველდა, მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე არავინ ფიქრობს! — შენიშნა მთავარმა მექანიკოსმა და სიცილისაგან ჩაბუიდა.

აქა-იქ დარბაზშიც გაისმა დამცინავი სიცილი.

— რას იცინით, ამხანაგებო?! — ახლა კი მოთმინებიდან გამოვიდა დირექტორი.

— თქვენს მითითებას ვასრულებთ, სიცილის დეკადაში ვღებულობთ მონაწილეობას! — განმარტა ვილაცამ.

ერთ დღეს კი საამქროებში მართლაც ნამდვილი ხარხარი ატყდა. მაგრამ ეს იყო მაშინ, როცა სიცილის დეკადა დამთავრდა.

— გაიგეთ ახალი ამბავი? — იცინოდნენ მუშები, — სიცილის დეკადა ახლა იწყება. ჩვენი დირექტორი, სიცილით რომ ცდილობდა მუშაობის გარდაქმნას, მოუხსნიათ!

იცინოდნენ მუშები უგერგილო დირექტორზე. ეს სიცილი იყო ცრემლზე მწარე, უგრაფიკო, დაუგეგმავი, იმის მაუწყებელი, რომ ძველი გაკეთილი აღარ გამეორდებოდა, ნამდვილი გარდაქმნა დაიწყებოდა და მომავალში ჯანსაღად გაიცინებდნენ.



ცოტას ჩემთვის ილოცე!

კვლავ ის ლერწმის ღერი ვარ,
ცრემლსა ვღვრი თუ ვმღერივარ!

შენი ავად მსხენებლის,
შენი მტრების
მტერი ვარ!

ცოტა იაც მიბოძე,
ცოტა ღვინოც მიბოძე,

ცოტაც შენთვის ილოცე,
ცოტაც ჩემთვის ილოცე!

თურმე ამჟვეყნად...

მე რომ ვარ — არის ამჟვეყნად
ფიქრი,
შენ რომ ხარ — არის ამ ფიქრზე
აზრი!

ფარი, ფაფარი, ფიცარი, ფიფქი!
ვარდი, ვარამი, ვალები, ვაზი!

დოქი, დარაბა, დარი, დაიკო!
საკანიც,
თუ იქ მოგვათავსებენ!

თურმე ამჟვეყნად
ჩვენ რომ არ ვიყოთ,
რამდენი რამე არ იარსებებს!

* * *

მინდა, დღეს ბროლის კოშკი
აგიგო
და მაგ სმათათვის გადმოგცე
ჯილდოდ!
აჰა, ამჟვეყნად, შენი არ იყოს,
მეც სიმღერისთვის მოვსულვარ,
ჩიტო!

მაგრამ რა ძალმიძს?!
და ნაცარ-ნაცარ
ვსატავ შენს ნისკარტს ასანთის
ღერით!

რა მოხდა, თუკი
მტრის ტყვია ამცდა,
მოკეთის ტყვიას ვუცდი და
ვმღერი!

ბთხოვ!

ან დამწყველე
ან დამლოცე,
რალაც ჰქენი, გთხოვ,

თორემ ამ თეთრ სინემეში
გულისგულშიც თოვს!

ან ჩემს გამო,
ან მის გამო
ამოიღე ხმა,

თორემ
ცუდად მაქვს დაცდილი,
შენ რომ ჩუმად ხარ!

ღვინო აქვს და...

განა მარტო ევამ სცოდა,
ან — ადამმა?
ცოტა-ცოტა!
ყველამ,
ჩემო მერიქიფევი, —
მაგრამ მაინც ყველა ცხონდა!

და შეავსე ერთხელ კიდევი,
აფერადღეს, რაც ბროლია!

ღვინო აქვს და
ჩვენს თამადას
მამულეებიც აქვს, ჰგონია!

მაგრამ...

კართან ძაღლები როგორ დავუბა,
კარის მეზობელს როგორ

გავექცე?!
მინდა, როგორმე მხარი ავუბა,
მაგრამ ჩემს დარდასაც
როგორ გავექცე?

ამ ხალხს
ამ ციხევეშ მყოფელს რა უგავს,
მაგრამ ყველაფერს როგორ
გავექცე?!

ცხენი

იყო დრო, იყო ცხენი და იყო
მისი საკადრი სახელები,
მაგრამ დადგა დრო და
სოფელმა გაიმეტა იგი!

სამაგიეროდ
ფიზიკოსებმა
მისი პატივისცემის ნიშნად
ძალის ერთეულად
ერთი ცხენის ძალა გამოაცხადეს!



ამას წინათ ვილაცამ იხუმრა
რამდენი ცხენის ძალა

დასჭირდება
ქართველ კაცს,
რომ ცხენი კვლავ იყოლიოს?

იქნებ...

ვიცი, რასაც იტყვი!.. რა ვქნა,
ვერც მე დავფენ წითელ ვარდებს!

რატომ ეძებ მითხარ, სხვაგან
შენგან ჩამქრალ
გულს და სანთელს?!

იქნებ
სხვაამც
მომკლას,
მაგრამ,
პირველობას ვინ წავართმევს?!

უფრო მცირისთვის

შენ ვალს უხდიდი შენს წილ
მაცხოვარს
და გენთო შენი თაფლის
სანთელი!

ლუკა ბაბუა,
ღმერთმა გაცხონოს
შენი ფიფქით და შენი ფანტელით!

მთელი სიცოცხლე საამოდ
თვალის
ფქავადა და ფქავადა შენი
წისქვილი!


უფრო მცირისთვის
მოიკლა თავი
ზოგიერთმა და...
ურგო გვირგვინი!

მალალი ღოგა

ეს რა მალალ ღოგეს ღობავ?!
გული ისეც მესურება!
გადაფრინდნენ,
გადმოფრინდნენ,
ფრთა გაშალონ ბედურებმა!

ჩიტიც
ცოლი არ გეგონოს,
ჩიტს სხვა ეზოც ეგულება, —
ეზო, სადაც
მის ნებაზე
ეყვარება,
ეძულება!
ქმარი
მალალ ღოგეს ღობავს,
ცოლი იღბალს ემღურება!

ილუსტრაციები
დიმიტრი ერისთავისა



ნახ. ჯ. ლაშვილი

რობოტი: — ჩემზე ზემოდან სომ დაგირეკეს?! მე ასეთ რიგით სამუშაოზე არ ვიმუშავე!

საქართველო
საბჭოთა კავშირი



საქორწილო
მოგზაურობა...
ჭირქვეშ

იუმორისკა

— ჩემო გივი, სად და როდის წავალთ საქორწილო მოგზაურობაში?
— იცი, რა, მზია?! მე დაწვრილებითი გეგმა შევიმუშავე!
— ძალიან გთხოვ, ახლავე გამაძნო!
— ხელს მოვაწერთ თუ არა, ჩვენს ოთახში შპალერის გაკვრას შეუვადგებით, პარალელურად შენ მოწაფეებს აიყვან მუსიკაში, რაც საშუალებას მოგვცემს შევაგროვოთ თანხა ავეჯის შესაძენად. ამის პარალელურად ალბათ ვაფი შეგვეძინება! სომ იცი, ბავშვს რამდენი რამე სჭირდება?! ასეთ დროს, ვინც კერვა იცის, შეუცვლელია!.. ბავშვსაც შემოსავ და შეკვეთებსაც აიღებ! მერე ჩვენი ვაფი სკოლაში წავა, ეს კი დამატებით ხარჯებს გამოიწვევს და სწორედ ამ დროს გამოვადგება ინგლისური ენის ცოდნა! რამდენიმე მოწაფე — და ჩვენს ვაფს ყველა პირობა შეექმნება უმაღლესში შესასვლელად!.. მაგრამ კარგად იცი, სტუდენტებს რა თავქარიანი აზრები ებადებათ, ხარჯებზე კი სრულიად არ ფიქრობენ!.. გახსოვს, გუშინ რომ თქვი, ჩემმა ტორტმა კონკურსში გაიმარჯვაო, პოდა, კვერცხის ათქვეფაში ხელს წაგახმარებ, ამის გარდა, მუყაოს ყუთებსაც ვიშოვი!.. მზია, გაგიკვირდება და, ყველაზე მეტი იმ ადგილზე ვიფიქრე, თუ სად გადავუსადოთ ჩვენს ვაფს ქორწილი და რამდენი კაცი დავბატიყოთ, როგორც იქნა, მოვიფიქრე, რომ ყველაზე მონერსებული საბანკეტო დარბაზია და სტუმრების რაოდენობაც 200 კაცით უნდა განისაზღვროს, კარგად მაქვს შეგნებული, რომ ეს დიდ ხარჯებს გამოიწვევს, ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, თუ ყველაფრის პარალელურად ქსოვაშიც გაიწაფავდი ხელს! შეხედე, რა გრძელი და მოქნილი თითები გაქვს!.. განა შეიძლება, მათი გაჩერება?! მერე, როცა ყველაფერს მოვითავებთ, საქორწილო მოგზაურობისთვის დავიწყებთ მზადება!

თამაზ ქასრაძე

ციბისკაჩოსანი

პაროღია

ნახეს „ხეტი“ ქალი ვინმე, ჯდა მტირალი ციხის ძირსა. შავი „ვოლგა“ ტუსად ქმრისა ჰყვა სახელზე თავის ძმისა, ესხა ოქრო-ბრილიანტი ხელსა, უურსა, ცხვირსა, პირსა... ცრემლი ლაქად შერეოდა საღებავსა „უივოპისსა“!..

მას ტანსა ქურჭი ემოსა სიასამურის ტყავისა. ამა ცხოველის ტყავივე ჰქონდა სარკმელად თავისა, ხელში ეჭირა მარაო ინდური სპილოს ძვალისა!.. ნახეს და ცემა მოუნდათ ქალის და მისი ქმარისა!


გივი ჩხაიძე

თანამშრომლები
 მუშაობენ
 მშენებლის
 საქმეზე



იური ვასილის ძე თითზარიძე გარდაბნის რაიონის ინდინამშენებლობის სოფელ თაზაკენტის საქმიან ეზოში მუშაობდა ბრიგადირად და საქმიან კავდაც ითვლებოდა. „საქმიანი ეზოს“ საქმოსანმა ბრიგადირმა საქმიანი და სარფიანი ურთიერთობა დაამყარა ამავე დაწესებულების მუშა **ვალერიან ხათისოს ძე პარდიანაშვილთან**, მისცა მას მინდობილობა, რომლითაც ვალერიმ გაჩინის რკინიგზის სადგურიდან ვაგონით გაიტანა 4 ათას 80 მანეთის ღირებულების ცემენტი და თავის ნებაზე გაყიდა მოსახლეობაში, თანხა კი ორივემ ძმაცკურად გაიყო (ერთი თნილის გული თუ ცხრა ძმამ გაიყო, იმდენ ფულს ორი ძმაცკი ვეღარ გაიყოფდა?!).

გასული წლის აპრილში მათ მეორე კომბინაცია იოლად ჩაატარეს – უკანონოდ შეიძინეს 6 ათას 600 მანეთად ღირებული სამშენებლო მასალები (რკინის შეკლებები, მილები) და რუსთავში, თოდრიას 11 ჩიხში, №7 სახლში მცხოვრებთ ყოველგვარი ხელშეკრულების გარეშე „ლევად“ აუშენეს აივნები, ფული კი ჩაიჯიბეს.

მაისში კი **იური თითზარიძე** შეიძინა ხუთას მანეთად ღირებული წიდა, 27 ტონა ცემენტი და დაქირავებულ მუშებს დაამზადებინა 11 ათასი ცალი ბლოკი, აქედან 7 ათას 599 ცალი გაყიდა და 3 ათას 284 მანეთი მიითვისა. ბრიგადირს არც **ვალერიან პარდიანაშვილი** ჩამორჩა, ვიღაც **ოქანხვარდიანს** ოჯახის აშენებას შეჰპირდა და 240 მანეთად ღირებული 600 ცალი ბლოკი 355 მანეთად მიჰყიდა, ვინმე **მურადოს** კი 200 ცალი – 100 მანეთად. ასე და ამ-



ნახ. 3. კუჭინასი



ზოგიერთის კრიტიკა და თვით-კრიტიკა

რიგად, ბლოკით შეაქურა 5344, დაქირავებულ მუშებს გადაუხადა 1500, წიდაში გადაიხადა 560 მანეთი და დანარჩენი თვითონ დაიტოვა (აი, მესმის! ჩაღიჯი აბას ჰქვია!), სულ 68 ტონა ცემენტიდან **იური თითზარიძესთან** ერთად დაიტაცა 7364 მანეთი.

ი. თითზარიძეს რვა წლით შეაწყვეტინეს თავისი საქმიანობა, ხოლო **ვ. პარდიანაშვილს** – 10 წლით!

ლარი ივანეს ძე გირჩაძე მუშაობდა გარდაბნის სარაიონთაშორის ინდინამშენებლობის გამარჯვების უბნის უფროსად, ცხოვრობდა თბილისში სანჯონაში (ახლაც ზონაში ზის და მ წლით ისვენებს). **ლარი** თავის საკეთილდღეოდ გამოიყენა სამსახურებრივი მდგომარეობა, ბოლნისის რაიონის მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატიდან, სადაც იგი ადრე სარემონტო-სამშენებლო უბნის უფროსად მუშაობდა, დაიტაცა 2 ათასი ცალი კლიტე ისე, რომ ყველას ენაზე კლიტე დაადო. მაგრამ, მელიისა და მისი კუდისა არ იყოს, ვერსად ვერ დაიძალა გამარჯვების ინდინამშენებლობის სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებლის სახელზე გაცემული მინდობილობა, რომელიც მისთვის უბოძებია სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის საწყობის გამგეს **ნუგზარ არვანდის ძე დალაქიშვილს** დირექტორის მოადგილის **ზურაბ სარგოს ძე ჟობალაშას** ხელმოწერით. ამ არეულ-დარეულ საქმეში კუსავით თავი გამოყო კიდევ ერთმა მეტად უცნაურმა და უხერხულმა ფაქტმა – სამთო-გამამდიდრებელ კომბინატში „შრომის ვეტერანის“ მედლით ერთმანეთში გაუნაწილებიათ თვით საწარმოს ხელმძღვანელებს – გენერალურ დირექტორს, მის მოადგილეს, კადრების განყოფილების უფროსს, მთავარ ბუღალტერს, ინჟინერ-კონომისტსა და უფროს ინჟინერს ტექნიკის უსაფრთხოების დარგში. ნუთუ ამოდენა კომბინატში ერთი ვეტერანი მუშა ვერ მოიძებნა, ამ მედლის ღირსი რომ ყოფილიყო?

გარდაბნის რაიონიდან „ნიანგის“ მკითხველებს გვინდა გავაცნოთ აგრეთვე პროფესიონალი ქურდბაცაცები – **ჯუმაარ ანჯორის ძე აქოფოვი** და **ჯუმაალ ბენიაშინის ძე ანთია**. **ჯუმაარ აქოფოვმა** 25 წლის ასაკში უკვე მოასწრო რამდენიმე დანაშაულის ჩადენა. ჯერ კიდევ 1984 წელს გაასამართლეს ხულიგნობისათვის, შემდეგ, 1986 წლის იანვარში, ორთაჭალის ავტოგასამართავ სადგურთან ძალადობითა და მუქარით გაიტაცა მოქ. მიხეილ ავოიანის „უიგული“ და მიატოვა ვერცხლის ქუჩაზე. 20 თებერვალს მთვრალმა დღისით, მზისით, სოფელ მარტყოფში გატეხა მოქ. ეთერ თხელიძის ბინა და მოიპარა 340 მანეთი. იმავე საღამოს იქვე მეზობლად მცხოვრები გიორგი ბანეთიშვილის ბინიდან „ხელს გააყოლა“ 400 მანეთად ღირებული ქალის კაბები. 22 თებერვალს თბილისში, ხეივანის ქუჩის №8 სახლში, თავისი ყოფილი სიდდერის ბინაში ჯერ აყალმაყალი და ჩხუბი ატეხა, შემდეგ ბენჯინი გადაასხა სახლის სახურავს, ცეცხლი წაუკიდა და ხანძარი რის ვაი-ვაგლასით ჩააქრეს.

ჯუმაალ ანთია ერთი წლით უმცროსია **ჯუმაარ აქოფოვსა**. იმდენი სტაჟი და გამოცდილება არა აქვს ქურდობაში, მაგრამ მაინც „ჩაატარა“ რამდენიმე საინტერესო ინდივიდუალური „რეიდი“, რომელთაგან განსაკუთრებით დასამახსოვრებელია მისთვის ბოლო ფაქტი – დღის 12 საათზე კოჯორში გატეხა რევაზ გველესიანის ბინა, გაიტაცა უცხოური მარკის ფეხსაცმელები, „ადიდასის“ ფირმის პიჟამო და პირსახოცი, სულ 181 მანეთის საქონელი. მეტი ვეღარ მოასწრო!..

ქურდბაცაცები ვეღარ ინავარდებენ თავიანთ ნებაზე, **ჯუმაარ აქოფოვი** 9 წლით „დაასვენეს“, ხოლო **ჯუმაალ ანთია** – 4 წლით!

გივი საბაშვილი,

გარდაბნის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

Гиви ЛОМИДЗЕ



Москва
• Советский художник • 1986

გამომცემლობა „სოვეტსკი ხულოჟნიკმა“ „საბჭოთა კარკატურის ოხტატების“ სერით მასობრივი ტირაჟით გამოსცა ჩვენი ჟურნალის ამავდარი მხატვრის გივი ლომიძის სატირულ-იუმორისტული ნამუშევრების ალბომი. რედაქტორები არიან ვ. ბ. ზახაროვა, ა. ა. კუპეციანი, სამხატვრო რედაქტორი — ვ. ი. ჩერნივესკი.

გთავაზობთ ავტორის წინასიტყვაობას და რამდენიმე ნახატს აღნიშნული ალბომიდან.



მოლალატი



ურჩხული ნესი: — ეს რაღა ურჩხულებია?!

ზოგი რამ ჩემს შესახებ

ცნობილია, რომ ბავშვებში ძალიან ადრე იღვიძებს სატვისადმი ინტერესი, ამიტომ არც არის გასაკვირველი, თუ ყოველი მხატვარი კითხვაზე — „როდის დაიწყო სატვა?“ — ორდინარულად უპასუხებს: „ვხატავ იმ დროიდან, რაც თავი მახსოვს“. ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი. თავიდან, როგორც სხვა ბავშვები, მეც საათობით ვხატავდი; ვხატავდი ჩემს საყვარელ გმირებს წაკითხული წიგნებიდან და პეიზაჟებს. პეიზაჟების ხატვა განსაკუთრე-

ბით მიყვარდა და ეს გასაგებიცაა: მე სომ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში — ქუთაისში დავიბადე, რომელიც ნებისმიერ ადამიანს მოსტაცებს თვალს თავისი რელიეფით, არქიტექტურული თავისებურებებითა და მცენარეული საფარით.

ჩვენი ოჯახი რკინიგზის მახლობლად ცხოვრობდა, მაგრამ როცა წამოვიზარდე, არა მარტო ორთქლმავალჩაბმული ვაგონების თვალუწვდენელ რიგებს ვხატავდი, არამედ იმაზეც ვოცნებობდი, რომ მატარებლები შორეულ ქვეყნებში წამეყვანა. ოცნება ნაწილობრივ ამიხდა: მართა-

ლია, მატარებლები არ მიტარებია მაგრამ ომის დაწყებიდან თითქმის მის დამთავრებამდე ამიერკავკასიის რკინიგზაზე დისპეტჩერად ვიმუშავე. რისთვისაც ჩემთვის ყველაზე ძვირფას ჯილდოზე წარმადგინეს — „საპატიო რკინიგზელის“ ნიშნით დამიმშვენეს მკერდი.

მე, ისე როგორც ოცდაათიანი წლების ბევრ ჩემს თანატოლს, ადრე მომიწია დაუმთავრებელ ბავშვობასთან გამოთხოვებამ — სერიოზული შრომითი სკოლა გავიარე; თავიდან თამბაქოს ფაბრიკაში მექანიკოსის თანაშემწედ დავიწყე მუშაობა, მერე სამჭედლო სამქროში უროს დამრტყმელი ვიყავი, სულ ბოლოს — ელექტრომონტიორი.

მაგრამ ბედს სადაც უნდა მივეყვანე, ყველგან მხატვარი, მისი ფხიანი ფანქარი იყო საჭირო. ვის უნდა დაეცინა სამუშაოს გამცდენებისა და წუნისმკეთებლებისათვის, თუ არა მხატვარს და მეც გაბატებით ვმუშაობდი: ხან კედლის გაზეთს ვაფორმებდი, ხან პლაკატს ვხატავდი. ახლა ვხედავ, რომ საწოროში კედლის გაზეთებმა გამიხსნეს გზა დიდი პრესისაკენ.

პირველი გაბედული ნაბიჯი, როგორც შემოქმედმა, 1929 წელს გადავდგი, როცა სატირულ-იუმორისტულმა ჟურნალმა „ნიანგმა“ საუკეთესო ყოფითი კარიკატურის გამოცხადებას დაკონკურსი გამოაცხადა.

მაშინ 14 წლისა ვიყავი და, ბუნებრივია, დიდი წარმატების იმედი არ მქონდა. რედაქციაში ნახატების გაგზავნის შემდეგ ძალიან ვლეღავდი,



ფერმის გამგე: — ამბობენ. აქლემი უსმელ-უჭმელი თხუთმეტ დღეს ძლებსო!.. იქნებ ჩვენმა ძროხებმა მისგან აიღონ მაგალითი?!

ემ კი არა, თვითვემასაც კი მივყენელი, კონკურსში მონაწილეობა ჩემი მხრივ თავხედობად მიმაჩნდა, მაგრამ მოულოდნელად — გავიმარჯვე! ჟიურიმ პრემიასთან ერთად გაგზავნილი პუბლიკაციის დაბეჭდვის უფლებაც მომანიჭა.

მას შემდეგ აგერ უკვე 55 წელიწადია, „ნიანგთან“ ერთი დღითაც არ გამიწყვეტია კავშირი. ამ ხნის განმავლობაში ჩემს საყვარელ ჟურნალში უამრავი პოლიტიკური და ყოფითი კარიკატურა დავბეჭდე. მათი თემატიკა ფართო და მრავალმხრივია, მაგრამ მაინც მკაფიოდაა გამოკვეთილი პოლიტიკური სატირის მთავარი მიმართულებანი — ბრძოლა მშვიდობისათვის, მილიტარისტთა სრიკების მხილება; ყოფითი კარიკატურა კი ნიღაბს ხდის, ააშკარავებს ყოველივე ცუდს, მანკიერს, რაც ხელს უშლის ქვეყნის წინსვლას, ჩვენი საზოგადოების განვითარებას.

1969 წელს მონაწილეობა მივიღე პირველ საერთაშორისო გამოფენაში თემაზე — „სატირა მშვიდობისათვის ბრძოლაში“ — და დიდი

ჯილდოც დავიმსახურე — მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტის ოქროს მედალი — „მშვიდობისათვის ნებროძოლს“.

ამჟამად ჩემი კარიკატურები რესპუბლიკის ყველა გაზეთსა და ჟურნალში იბეჭდება. მათ ხშირად აქვეყნებენ ცენტრალური ჟურნალ-გაზეთებიც: „პრავდა“, „კრასნაია ზვეზდა“, „კროკოდილი“...

ჩემი პოლიტიკური კარიკატურები დიდი მოწონებით სარგებლობენ საზღვარგარეთაც, მათ იცნობენ მექსიკის, კუბის, ნიკარაგუის, დომინიკელთა რესპუბლიკის, პანამისა და სხვა ქვეყნების მკითხველები.

სატირა სიცოცხლის უძველესი იარაღია, ის არასოდეს დაუშვებს, რომ სიკეთეს ბოროტებამ სძლიოს. ამიტომ მისთვის სამსახური დიდ პატივად მიმაჩნია და მე ვამაყობ ამ ღირსებით.


გივი ლოვიკა



მსხვერპლის შეწირვა



— აბა, სად არიან რახისტები?!



**კონკურსი ცოლის სრულ საშტატო
ერთეულზე ოჯახში**

ვაცხადებ კონკურსს: ოჯახში მე მაქვს **საშტატო**
ადგილი! —
ცოლის შტატია! — ამის თქმა ჩემთვის როდია ადვილი!
არც **ნახევარი შტატია!** არც **მეოთხედი შტატია!** —
სრული შტატია! კონკურსში ვისაც ბედის ცდა სწადია,—

სცადოს! ეგება კონკურსით ის ჩემი ცოლი გახდება
და მისი იღბლის პეგასი ჩემს ჭერქვეშ დაირახტება,
თან **ბედისწერის ქაღალდმერთი — მოირა** მას გაუღიმებს
და ჩემთან ყოფნით ჩაუქრობს გასათხოვრობის
წუხილებს.

ოღონდ წინასწარ კონკურსის პირობებია ასეთი:
ქალი არ იყოს უნდილი, არც უყმურობით ნასეტყვი,
არ იყოს არც ფხუკიანი, არც ბუტია და არც მშრალი,
არ იყოს უფხო, არც ცივი, არც არჯალი და აშარი!..

ჭკუამსუბუქი არ იყოს, არც შატაბუტა, კაპასი,
იყოს გონიერ! ზომიერ! — ასეთ ქალს ადევს სხვა ფასი!
სიტლანქის ზნეი არ სჭირდეს, სულ მუდამ რჩევით საკაფი,
არ იყოს ძალზე მუნჯი და არც მეტისმეტად ლაყაფი!

იყოს სათნო და კეთილი, იყოს მომთმენი, დამთმობი,
რომ იმის მჩხვლეტავ სიტყვებით არ ვგავდვ გულში
დაათოფილს,
არ წამოენთოს იოლად იგი ასანთის ღერივით
და თავში თეფშს არ მესროდეს საანჩხლოდ
თავადერილი!

არც ის მსურს, კეცა ლეჭავდეს ანდა სიგარეტს
ქაჩავდეს,
არც ის — სარკის წინ მთელ ღლებს კოკობზიკობით
ხარჯავდეს.



— ამ ახალგაზრდამ გუშინ ავტობუსში ადგილი არ
დამითმო და მე დღეს ჩემი ადგილი დავუთმობ?!
ს. ბ. აბაშიანი

ვაითუ, მას აუჭრელდეს თვალები სარკის ქაჩავდეს
და აერიოს ტაფაში ქვაბი ან კოვზი — ჩანგალში!

სულ იყოს წინდახედული თავის საქმით თუ სიტყვებით,
კატლეტს რომ წვავდეს ქურაზე, იქ არ დაეწვას თითებიც,
ანდა, სამოსს რომ რეცხავდეს ჰიკიკით, როგორც
მერცხალი,
ტანს რომ აცვია, ის კაბა არ გახდეს გასარეცხავი!..

რაკი საქმეზე შევჩერდი, მე აქ სხვაც მალაპარაკებს:
სრულ შტატს ვთავაზობ ოჯახში, არა **ნახევარ**
განაკვეთს, —
რომ მანაც საქმე ოჯახში აკეთოს მხოლოდ **ნახევრად,**
სრულად აკეთოს! სისრულე ჰქონდეს მის ყოველ
ნახელავს!

არ მოხდეს, რომ **სანახევროდ** დააცხოს ხაჭაპურები,
ნახევრად ცომი დატოვოს, პირს ვერ ვახებდვ სრულებით,
ან იატაკის **ნახევარს** აპრილებდეს მარტოღენ,
ნახევარს მე მიტოვებდეს საწმენდად („უშნო
ფართობებს“).

მის მოჩვენებით **ნახევარ შტატს** აღარ მოჰყვეს სხვა
ლეღვაც;
რომ ჩემს მეორე **ნახევარს** ვუყვარდვ კიდევც... **ნახევრად,**
მთელ შტატს ვთავაზობ? — **მთლიანად** უნდა ვუყვარდვ
(ძნელია?!)

ნახევრები ვართ ცალ-ცალკე: ერთად კი ერთი მთელი
ვართ!

ჩვენ სიყვარული ვართ **მთელი,** ჩვენ სიხარული ვართ
მთელი,
თუ ჩვენს ფიქრს დაესხივება ჩვენი წადილის ნათელი,
თუ დასაბამი ექნება ჩვენს ხანგრძლივ ცოლქმრულ
ღიალოგს;
რა სჯობს, თუ ერთად კერაზე ჩვენც ცეცხლი
ავაბრილოთ!

... მსურს მოდგმის მხრივაც საცოლვე არ იყოს
ბედდანავსული,
მან მტკიცე გეგმით უნდა შვას სამი ძე, სამი ასული,
თუ გეგმას გადააჭარბებს — მეტსაც შობს, განა ინანებს?
რადგანაც ერის **სიმრავლე** — ესაა ერის **სიმძლავრეც!**

... მაშასადამე, კონკურსის გამოცდებია ერთბაში:
შეაწყვავ-მოსახარშავი საქმელის დამზადებაში,
სისუფთავეში, ჯამ-პურჭლის თუ ტანსაცმელის რეცხვაში,
ღილა-სალამოს ფაქიზად მთელ ბინის დალაგებაში,

ნოხების მარჯვედ ბერტყვაში თუ იატაკის წმენდაში,
ნამდვილად ადამიანურ დიასახლისის ცნებაში,
სუფრის გაწყობა-გაშლაში, ჩვილი ყრმის მოვლა-კვებაში,
ქმრის ატანაში თუ მრავალ სხვა საკითხების წყებაში,

რაც ოჯახს უკაშირდება, რაც ოჯახს გაადიადებს,
მ საკითხების ცოდნაში ვინც კი მიიღებს „ფრიალებს“, —
ის ჩემს ოჯახში მეუღლის სრულ შტატში ჩაირიცხება,
მიხვდება, მის ცხოვრებაში ახალი უამი იწყება!..


რა მსურს მისი მზითევი ათასფრად ნაგვირისტევი,
ადამიანის ღირსება! — ეს იყოს მისი მზითევი!

გიორგი შათევაური

სხვაიმა!..

ფელეტონი

სურათი პირველი



თბილისის პირველი მაისის რაიონის მეოთხე პოლიკლინიკაში შესვენებაა. ექიმ-თერაპევტ მანანა აფხაიძის კაბინეტში ამ პოლიკლინიკის რამდენიმე ექიმი და უმცროსი სამედიცინო პერსონალი შეკრებილა. გაცხარებული სჯა-ბაასია გამართული!..

ყველაზე მეტად საინტერესო კაბინეტის პატრონი ექიმი მანანა აფხაიძე ბობოქრობს:

— ნარკომანია მავნე ჩვევაა! მას მიიმე დაავადებამდე მიჰყავს ადამიანი! რა კარგია და დროული, რომ საქართველოს ტელევიზიამ მთელი სერიალი აჩვენა ნარკომანიის მავნებლობაზე: „მიკვინება ჯოჯოხეთში“, „ცოდვის შვილები“, ახლა კიდევ — „ლაქა“. ამ ფილმებისადმი გულგრილობა დანაშაულია!..

მსმენელები იშმუშნებიან, მაგრამ მანანა აფხაიძე ისე აგზნებულია, ეტყობა, ვაჩერებს არ აპირებს:

— ზოგს დაავიწყდა, რომ ხშირად ნარკომანიის განვითარებას წინ უძღვის ვეგეტატიური ნერვული სისტემის სიმეიფე და ლაბილობა მოზარდობის ასაკში, ვაზომოტურული მოშლილობა!.. ნარკომანიის განვითარების მექანიზმში გარკვეულ როლს ასრულებს დევეინცეფალური უბნის დაზიანება!..

ვინ იცის, რამდენ ხანს იქაჩანებდა ექსტაზში შესული მანანა აფხაიძე, მაგრამ კაბინეტში მყოფნი გადაიღალნენ და ნელნელა ოთახიდან გავიდნენ.

— აი მესმის, როგორ განიცდის ჩვენი მანანა ახალგაზრდობაში ფეხმოკიდებულ მავნე ჩვევებს! თუმცა რა გასაკვირია, თვითონაც ხომ ახალგაზრდა დედაა?! — ჩაილაპარაკეს კაბინეტიდან გამოსულე-ბმა.

1986 წლის 10 სექტემბერი. მიმდინარეობს თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოს სსდომა. სასამართლოს თავმჯდომარე ლიანა კრავიცივილი დამსწრეთ აცნობს სასამართლოში მიცემული მანანა აფხაიძის ახალი აფხაიძის საბრალდებო დასკვნას.

— მანანა აფხაიძე სამართალში მიცემულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 252-ე მუხლის მეხუთე ნაწილით — ნარკოტიკულ ნივთიერებათა წარმოების, შექენის, შენახვის, აღრიცხვის, გაცემის, გადაზიდვის, ან გადაგზავნის დადგენილი წესების დარღვევისათვის, ასევე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 191-ე მუხლით — სამსახურებრივი სიყალბისათვის.

სასამართლომ გამოარკვია, რომ მანანა აფხაიძე, მუშაობდა რა მეოთხე პოლიკლინიკაში ექიმ-თერაპევტად, დაარღვია ნარკოტიკულ ნივთიერებათა აღრიცხვისა და გაცემის დადგენილი წესი, ჩაიდინა სამსახურებრივი სიყალბე, რაც იმით გამოიხატა, რომ მან თავის სამოქმედო უბანში მცხოვრებ პაციენტთა ანკეტებში ჩაწერა, თითქოსდა ამ ანკეტის მფლობელ 10 ავადმყოფზე გასცა ნარკოტიკულ ნივთიერებათა შემცველი პრეპარატი. სინამდვილეში მანანა აფხაიძემ იგი მისცა მისთვის სასურველ პირებს!.. (სულ გასცა 126 ცალი აბი).

სასამართლოზე მანანა აფხაიძემ საბოლოო სიტყვაში პატიება ითხოვა.

სასამართლომ განსაჯელს კანონის შესაბამისად მიუზღო, რაც შეეხება მანანა აფხაიძის დაგვიანებულ სინანულსა და ბოდიშს, გვიანდა მას დიდი ილია ჭავჭავაძის სიტყვები შევასხენოთ: „ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგურხილ კისერსა და არც მოტეხილი ფეხისათვის არის უებარი წამალი“.

ზაალ მესხინსარი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს უფროსი კონსულტანტი.

ნახ. შ. ლელაძისა



— სადა ხართ, ბიჭებო, აქამდე? ხომ ხედავთ, უთქმო-ნოდ თათბირს ვერ ვიწყებთ?!

ბუნთუკ სუთსოანთოანთ * მთხოვტოეკსუნი

ტპირთი



ჩაშა ცოლ-შვილმა კისრად იღო ჩვენი ოჯახის უმძიმესი ტვირთი — ფულის ხარჯვა და მე წილად მარგუნა ყველაზე იოლი საქმე — ფულის შოვნა.

მაგრამ ჯერ სადა ხარ! მეზრდებიან შვილიშვილები, ჯერჯერობით, ერთადერთი სიტყვა რომ იციან:

— მომეცი!
— რაღა მიჭირს!..

სიჩუბე ვაჟათით

„ქია ბაღდასარის“ დადგმას მთელი დარბაზი გასუსული შეხვდა. ვალიმებაც კი არავის უცდია.

წარმოდგენის შემდეგ გულნატკენი რეჟისორი მიზეზის გამორკვევას შეუდგა. ბოლოს გაიგო, რაშიც იყო საქმე. დაშოშმინდა.

ქალაქიდან არტისტები ჩამოდიან, თავი კარგად დაიჭირეთ, არ გავიგონო, ვინმემ სმა ამოიღოს ან გაიცინოსო! — კოლმეურნეობის თავმჯდომარეს გაეფრთხილებინა.

* * *

— რატომაა ტაქსებზე ჭადრაკის უჯრედები გამოსახული?
— ტაქსის მძღოლეთსო მოჭადრაკენი არიან: ყოველ სვლაში აშამათებენ კლიენტებს!..

პასუნი საბრფოს

სშირად მეკითხებო ხოლმე:

— რა ნახე ასეთი ჩემში?
— რასაც ყველა მიჯნური ჭვრეტს თავის გულის სწორში და რაც ჯერ არავის უხილავს შენში, ჩემო კარგო!

შეშვანი და გგლავი

შეშვანი ცხვარი მთიდან ეშვებოდა და მგლების სროვა უკან მოჰყვებოდა. ახლოს მოსვლას ვერ ბედავდნენ იმის შიშით, რომ გავო ნაგაზებს მიუსვავდა და სეირს უჩვენებდა, არც სცილდებოდნენ, საწყალს მოსვენებას არ აძლევდნენ.

გავომ ბოლოს მოთმინება დაკარგა, ისე შეწუნდა, ღამით ყმუილზე ზეზე წამოიჭრა და გასძახა:

— თქვე შეჩვენებულეხო, რა გული გამიწყალეთ?! წადით, თავმჯდომარისგან ქალღალი მომიტანეთ და მთელი ფარა თქვენთვის დამილოცინა!..

სომხურიდან თარგმნა **მამიკონ თაქორინაშა**
მეგობრული შარკი არტამ მინასიანისა

ჩაშს თანამეშაპულე **ბანიკ სპირანიანს** 70 წელი შეუსრულდა. ნაყოფიერი და მრავალფეროვანია მისი შემოქმედებითი გზა. სამ ათეულზე მეტი კრებულის ავტორია. მისი წიგნები თარგმნილია მრავალ ენაზე. მწერალმა იუმორშიც სცადა კალამი. მკითხველს ვთავაზობთ მის რამდენიმე მინიატიურას.

ინტრიგა

ბანსილვა შუალამისას — დამთავრდა.



იღლიაში ამოჩრილი პიესებით თეატრიდან გამოვიდა. ვილაცამ მხარზე ხელი დაჰკრა.

- წაიკითხეს?
- როგორც იქნა!..
- მერე, რაო?
- ჯანდაბას მაგათი თავი!.. ინტრიგა სუსტია და გააძლიერეო!..
- სულ ეგაა?
- დიას.
- ფიქრი ნუ გაქვს! — დრამატურგ Ne-ს სომ იცნობ? — ძველი ინტრიგანია, თანავეტორად გაიხადე და შენს ბედს ძალღი არ დაჰყუფს!



მუცელაშვილს არსენას შრომისათვის არ სცხელა! ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს, ღირდა მისი გაჩენა?!

ლილი აზვიანიძე




ნახ. ბ. ზუბაშვილისა

უსიტყვოდ

ნოეს კიდობანი

ამერიკული ფრონტობანი



პოლიტიკური ფელატონი

დღემდე რაღას არ ჰყვებიან ამერიკელი ასტრონავტების სამთვარიო ოდისეაზე. ბევრ ამოკალიფსურ გამონათქვამს მიაწერენ ნეილ არმსტრონგს — პირველ დედამიწელს, ვინც მთვარის ზედაპირს დააბიჯა. ზოგი იმასაც დასძენს, რომ მან უდაბურ ციურ სხეულზე დედამიწიდან სამუდამოდ გაძევებული ცოდვილთა სულელები ნახა და ამის გამო მთვარიდან დაბრუნებისთანავე ეკლესიაში წავიდა და ბერად დაეყუდაო.

ვითომ მთვარემ დასცადა?

მთვარის ავადმყოფობას ცისად-ცისად გვემას უწოდებდნენ ძველ საქართველოში, ანუ სამთვარიო სენს, თვითონ ავადმყოფებს კი მთვარეულებად იხსენიებდნენ. ამ სენში ბევრი უცნაურობა იყო ჩაქსოვილი და ეს შეუცნობელი იდუმალეობა, რაშიც სწული იყო გავრეული, ცისაკენ ახედებდა შეშინებულ თვითმნილველთ — თვალუბრებულ მძინარე ადამიანი ბეწვის ხიდეზე მიაბიჯებდა, უფსკრულის თავზე გაკაწრულ საწრაიბო ბილიკზე უდარდელად მისეირნობდა და სულ არ გრძნობდა შიშს.

ყველა ავადმყოფს ერთი რამ ჰქონდა საერთო — ლტოლვა სიმაღლისაკენ.

ამ ნიშნით შეიძლება მივაკუთვნოთ მთვარეულებს მეორე ამერიკელი ასტრონავტი ჯეიმს ირვინი, რომელმაც მთვარიდან ჩამოსვლის შემდეგ სირბილით განვლო წინა აზია და თურქეთის მხრიდან არარატის მთას მიადგა. მთვარიდან ზუსტად ეს მთა დავინახე ზედ გარჩენილი ნოეს კიდობნით, ახლა უნდა ავიდე მწვერვალზე, მუდმივ თოვლებში მინამჭრული კიდობანი მოკებნო და შიგ ჩავჯდე, რადგან, როგორც მთვარეზე საიდუმლო სმამ ჩამავონა, ქვეყნიერების აღსასრული სულ მალე დაიწყებაო! — განუცხადა ჯეიმსმა

ცნობისმოყვარეებს და, როგორც მთვარეულს სწვევია, ჯეირანივით შეინავარდა პირველსავე ციცაბოზე.

თურქები გაოცებული უმზერდნენ ცისად-ცისად გვემულ კაცს.

პოლიტიკოსებს კი ვულში ელიმებოდით, რადგან იცოდნენ, რომ არარატზე ნოეს კიდობანი კი არა, ძაღლის კუდი იყო დაფლული — ჯეიმს ირვინი თავის მიმდევრებთან ერთად არარატზე ასვლას სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან აპირებდა და ისეთ ციცაბოებთან აკეთებდა ხანგრძლივ შესვენებას, საიდანაც კარგად მოჩანდა საბჭოთა კავშირის ტერიტორია, მაგრამ როცა მთვარეული, ცოტა არ იყოს, არეული ნაბიჯით სხვა მხარეს წავიდა, მაშინ კი წაუხდათ გუნება, — მისვდნენ, რომ ირვინი და მისი მყარონი აღმოსავლეთ ანატოლიაში განლაგებულ თურქეთის სამხედრო ობიექტებს ჩსრეკდნენ ფოტოობიექტივებით, მისვდნენ და კიდობნის ცრუ მაძიებლები სარდარ-ბულაკის უნაგირაზე, როგორც საბრალდებო სკამზე, ისე დასხეს.

გაყინულ უნაგირაზე ჯდომა იწყინა ირვინმა — ეს ნომ მეცნიერების შეურაცხყოფაა, ამ უნაგირაზე ჯდომა ვირზე შესმას ეტოლებათ, მაგრამ ესეც არ აკმარეს და სულაც ვირის აბანოში ამოაყოფინეს თავი.

ძია სემმა დიდად შეიცხადა, როცა შეიტყო, რა ცუდად დამთავრდა ირვინის სირბილი. მაშინვე დატრიალდა, ოქროს ქისა არ გაუსხსნია, ნაცნობებში მიდგა-მოდგა და შინაურულად გაარიგა საქმე — მთვარეული გაათავისუფლეს.

ახლა არარატზე დიდი თოვლი დევს, მისი ორივე ვულკანური კონუსი ნამჭერით არის გადასილული, ცისად-ცისად გვემული კაცი კი მაინც იქით იშვერს ხელს — უნდა დავლამქროთ!

ჯერ არ იცის ირვინმა, რომ სომხურად არარატს მასისს უწოდებენ და რომ ახლა წმინდა იაკობის მყინვარი ნოეს კიდობნის მოყვანილობის ნამჭერებითაა შემკობილი.

ჰოდა, თუ ჯეიმსი მაინც არ დაიშლის და თავისი ამფსონებით შეუდგება ციცაბო მასისს, უთუოდ ზვაგებით უმასპინძლებს მას ის!

ელგუჯა მერაბიშვილი



საბჭოთა და იუზოკრის შუამდგომლობით „ნიანგი“ № 6 (1736). მარტი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადგიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზარი ბართაია, ბორის გურგულია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მაღალაშვილი (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სხინარულიძე, (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, ნაფი ჭუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნდუა

გადაეცა ასაწყობად 23. 02. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24. 03. 87 წ. ქალაქის ზომა 60x90¹/₄, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5, სააღორცილებო-საგამოცემლო თაბახი 1,9, საქართველოს კბ ცკ-ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. 487, უე 04855. ტირაჟი 143.000. მუშაობის გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგებების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მემან ქანის — 99-76-69.

სატირიკო - юмористический журнал «НИАН-ГИ». (На грузинском языке). Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ. ინდექსი 76137

7-87

87-221

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საქართველო
საბავშვო

— საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობ?
— არა, სადოქტოროზე!

ს.ს. ჯ. ჯ. ჯ. ჯ. ჯ.
№ 221
31/III 1987